



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ს. ილიაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

12.08. 2022

26.08.2022

თბილისი 2022

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0214
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	N/A
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული; აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 9 დეკემბრის N449 გადაწყვეტილებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო სილაგაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2022 წელს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში რიგგარეშე მონიტორინგის ფარგლებში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით წარმოადგინა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **გამოყენებითი ხელოვნება - მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის**, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა 2022 წლის 12 აგვისტოს. საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წლის 9 დეკემბერს (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N449). მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა შემდეგი სახელწოდებით: *სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება: დაზღუერი ფერწერა და ენკაუსტიკა; კომპიუტერული დიზაინი და დაზღუერი გრაფიკა; მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი; მოდის დიზაინი; ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი; მოდის დიზაინი; ხატწერა, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავება; საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დამატებითი (minor) პროგრამა*. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საგანმანათლებლო პროგრამას ერთხმად მიენიჭა აკრედიტაცია ყოველგვარი დათქმის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მიხედვით დადასტურდა კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთაც დაწესებულება საჯარო განხილვისას დაეთანხმა და დაგეგმა რეკომენდაციებზე მუშაობა პროგრამის განვითარების მიზნით. რეკომენდაციათა შორის დასახელებულია:

- ✓ სასურველია, პროგრამის სასწავლო კურსებს დაემატოს მენეჯმენტისა და სამეწარმეო სამართლის საფუძვლები, რადგან, როგორც ცნობილია, სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის დასაქმება თვითდასაქმების სხვადასხვა ფორმის (კერძო შეკვეთების, მცირე მასშტაბის სალონებისა თუ საკუთარი სახელოსნოების) ხარჯზე ხდება. ამდენად, გარკვეული ცოდნა მენეჯმენტისა და სამეწარმეო სამართლის სფეროში უდავოდ გაუადვილებთ მათ დასაქმებასაც და საკუთარი ბიზნესის კვალიფიციურად წარმართვასაც;
- ✓ სასურველია, საწარმოო პრაქტიკის კომპონენტის გათვალისწინება პროგრამული კონცენტრაციების შემადგენელ თითოეულ სპეციალობაზე (მაგალითად, კონცენტრაციაში "კომპიუტერული დიზაინი და დაზღუერი გრაფიკა" საწარმოო პრაქტიკა მხოლოდ კომპიუტერული დიზაინის სპეციალობის სასწავლო კურსშია გათვალისწინებული, კონცენტრაციაში "მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი" - მხოლოდ ფეხსაცმლის დიზაინის სასწავლო კურსში და ა. შ.);
- ✓ მიზანშეწონილია, პროგრამის ერთ-ერთი კონცენტრაციის, კერძოდ, ხატწერის, ხისა და ლითონის მხატვრული დამუშავების სასწავლო კურსებს, ხატწერის დარგის სპეციფიკისა და სირთულის გათვალისწინებით, დაემატოს დამოუკიდებელ კურსად ხატის კანონიკა და იკონოგრაფია, მით უფრო, რომ აღნიშნული კონცენტრაციის მიზანში მითითებულია, რომ "სტუდენტი შეისწავლის ხატწერის სახეობებს, ნებისმიერი ხატის შესრულებას კანონიკისა და ტექნოლოგიური წესების დაცვით", ხოლო სწავლის შედეგებში აღნიშნულია, რომ "სტუდენტს შეუძლია ნებისმიერი სირთულის ხატის შესრულება შესაბამის მასალაში კანონიკური წესების ზუსტი დაცვით";
- ✓ სასურველია, დაზუსტდეს ზოგიერთი სპეციფიკური ტერმინი, რომელიც პროგრამის მიზნებში, სწავლის შედეგებში, შეფასების სისტემასა და სპეციალური საგნების სილაბუსებში ფიგურირებს. ასე მაგალითად, ტერმინი "საავტორო" ან "ექსკლუზიური ნიმუში" უმჯობესია შეიცვალოს საავტორო ან ექსკლუზიური ნიმუშეერთ, "დარგობრივი კომპოზიცია" - მხატვრული ნაწარმოებით, ხოლო "ნამუშევრის კომპოზიციურობა" - კომპოზიციური აგების პრინციპით ან ნამუშევრის კომპონირების უნარით;
- ✓ სასურველია, სპეციალობის სასწავლო კურსების სილაბუსებში გაიმიჯნოს სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა და მიეთითოს კონკრეტული გვერდები იმ შემთხვევებში, როდესაც ლიტერატურის ჩამონათვალი მეორდება რამდენიმე სემესტრის განმავლობაში. ეს საგრძნობლად გაუადვილებს სტუდენტებს კონკრეტული თემის გაცნობირებას და შესაბამისი პრაქტიკული დავალების შესრულებას;
- ✓ სასურველია, დაზუსტდეს პროგრამის კომპეტენციათა რუქა (მატრიცა) და სრულ შესაბამისობაში მოვიდეს თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილი სწავლის შედეგებთან, რადგან წარმოდგენილი რუქის თანახმად პროგრამის შემადგენელი ყველა სასწავლო კურსი ექვსივე კომპეტენციაზე გადის, რაც არ არის ასახული თითოეული კურსის სილაბუსში.

გარე შეფასების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, რაც დაგეგმილი ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალსა და მენეჯმენტს. თუმცა დღიდან პირველი აკრედიტაციის პროგრამამ გაიარა არაერთი ცვლილება. საგანმანათლებლო პროგრამაში აქტუალური გახდა პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება, ასევე რედაქტირება გაიარა კონკრეტულმა კონცენტრაციებმა. გაიმიჯნა და დაზუსტდა კომპეტენციათა მატრიცები.

გამომდინარე იქიდან, რომ 2011 წლიდან დღემდე არაერთგზის გადაიწია აკრედიტაციის ვადები და ფაზები, საგანმანათლებლო პროგრამას გარე შეფასება აკრედიტაციის ფორმატში არ გაუვლია. სააკრედიტაციო მორატორიუმი შეივსო არაერთი საკანონმდებლო სიახლითა და საერთაშორისო რეგულაციის ჩანერგვით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, რაც ინსტიტუციისთვის ხარისხის შეფასების შიდა და გარე პროცესებთან მიმართებაში სიახლეებთან და პროცესების ახლებურ გამოწვევებთან იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამამ განიცადა არაერთი ცვლილება. მათ შორის შეცვლილია საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, მისი შინაარსი და გარკვეულწილად სტრუქტურა და კონცეპტუალური ხედვა.

საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიკაციის პროცესში საგანმანათლებლო პროგრამაში:

- „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში“ განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ მიმართებით ახლებურად განისაზღვრა კვალიფიკაციის სფერო და კოდი;
- საგანმანათლებლო პროგრამისა და მასში შემავალი სასწავლო კურსების სწავლის შედეგები განისაზღვრა სამი კომპეტენციით სასწავლო პროგრამის ფარგლებში;
- უფრო მეტად დაკონკრეტდა საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი, დაზუსტდა კვალიფიკაციიდან გამომდინარე;
- ახალი რეკომენდაციებით მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შეფასების, კომპეტენციების მატრიცები, განისაზღვრა სამიზნე ნიშნულები.;

წარმოდგენილი ცვლილებები დაეფუძნა დარგში არსებულ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს (ანალოგები პროგრამები განხილულ იქნა ვაშინგტონის, კალიფორნიისა და რედლენდის (აშშ), გოტებორგის (შვედეთი), ვულვერჰემპტონისა და სანდერლენდის (დიდი ბრიტანეთი) პროგრამული კატალოგებიდან) და ასევე ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ხელოვნებისა და დიზაინის დარგობრივ სტანდარტს ([subject benchmark statement – QAA, Art and Design, 2019](#));

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად სასწავლო ბლოკში წარმოდგენილია უცხოური ენის და კერძოდ ინგლისურის სასწავლო კურსი 24 კრედიტის ოდენობით, რაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა იმ სტუდენტათვის, ვინც შემდგომში გეგმავს მოისმინოს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები კურიკულუმიდან/ან გააგრძელოს სწავლა და კვლევა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

სავალდებულო კომპონენტი გახდა საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომლის კონცეფცია, წარმოადგენს დეტალურ, სტუდენტზე ორიენტირებულ და დარგის კვლევების საფუძვლის შექმნის რეალურ სახელმძღვანელო აკადემიურ დოკუმენტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შექმნილი დარგობრივი ცოდნა გაიმყაროს ჩამოყალიბებული პრაქტიკის ფარგლებში.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილია პორტფოლიო 6 დაარქივებული საქაღალდით. წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდგომ ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ხედვები საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 4 22 0000899135 12/08/2022 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: ნინო

სიკაგაძე (თავმჯდომარე); ნინო ქიმერიძე (წევრი) განახორციელა სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის **გამოყენებითი ხელოვნება-მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისათვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)** არაგემიური მონიტორინგი. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

• **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წარმოდგენილი მასალები რიგგარეშე მონიტორინგის ფარგლებში „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, რომლის შედეგად დადასტურდა, რომ პროგრამა სრულ შესაბამისობაშია აკრედიტაციის 1 (კომპონენტები 1.1, 1.2) და 4 (კომპონენტები: 4.1, 4.2, 4.3) სტანდარტთან, რაც შეეხება მე-2 სტანდარტს, ერთიანობაში მოცემულ შემთხვევაში პროგრამას აქვს სრული შესაბამისობა, ასევე კომპონენტებისათვის 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 2.5, ხოლო კომპონენტისთვის 2.6 განისაზღვრა მეტწილი შესაბამისობა.

▪ **რეკომენდაციები**

კომპონენტი: 2.6

• რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური ზღვრები და დაკორექტირდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანების (2007 წლის 5 იანვარი) რედაქტირებული ვერსიის მიხედვით.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი: 2.1

• სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების რუბრიკაში აღიწეროს პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაშვებისა და გარე მობილობის განხორციელების შესაძლებლობები;

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

▪ **უსდ-ს მიერ დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პასუხის გაზიარების/არგაზიარების შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უსდ-ს არგუმენტირებულ წერილს დასკვნის პროექტთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პასუხებში კონკრეტული საკითხები საჭიროებს დამატებით განმარტებას და შესაბამისად, დაელოდება საკითხის საჯარო განხილვას აკრედიტაციის საბჭოს ფორმატში. მოცემულ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამისადმი წარდგენილი რეკომენდაცია. დამატებითი განმარტებისთვის აღსანიშნავია, რომ გასწორდა ტექნიკური უზუსტობა სასწავლო კურსის სილაბუსში *საქართველოს მუზეუმები*.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის <i>გამოყენებითი ხელოვნება—მხატვრული კერამიკა საჯარო სივრცეებისთვის (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)</i> შემუშავებისას გამოყენებულია საუკეთესო პრაქტიკა – სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა ვაშინგტონის, კალიფორნიისა და რედლენდის (აშშ), გოტებორგის (შვედეთი), ვულვერჰემპტონისა და სანდერლენდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტებში გამოყენებითი ხელოვნების სწავლების საერთაშორისო გამოცდილებით. ამასთან, ამჟამინდელი პროგრამით გათვალისწინებულია დასავლურ აკადემიურ სივრცეში გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მიმართ არსებული ის მოთხოვნები, რომლებიც აღწერილია ბრიტანეთის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს ხელოვნებისა და დიზაინის დარგობრივ სტანდარტში (subject benchmark statement – QAA, Art and Design, 2019). გარდა ამისა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების შემუშავებისას პროგრამის განმახორციელებელი პირები ხელმძღვანელობდნენ საუნივერსიტეტო მისიით.</p> <p>ანალოგიური პროგრამები ევროპულ და ამერიკულ უნივერსიტეტებში მჭიდროდ თანამშრომლობენ გამოყენებითი ხელოვნების მომიჯნავე სფეროებთან, სახელობრ მხატვრული მინის დიზაინი, საიუველირო ხელოვნება და სხვა. ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამა სტუდენტებს გარდა დარგისთვის სავალდებულო კურსებისა, არჩევით რეჟიმში სთავაზობს მომიჯნავე კურსებს, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის დარგობრივი კომპეტენციების გაფართოებას.</p> <p>შესაბამისად, პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ისეთი სპეციალისტის მომზადებას, რომელიც თანამედროვე საზოგადოების სახელოვნებო შრომით ბაზარზე იქნება კონკურენტუნარიანი და ამავედროულად საკუთარი კომპეტენციებიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკურ განვითარებას: <i>მას ექნება საბაზისო ცოდნა სახვით, გამოყენებით ხელოვნებასა და დიზაინის მიმართულებით</i>; დაუფლებული იქნება მხატვრული კერამიკის კომპოზიციის ტექნიკებს, განვითარებული იქნება დარგის უახლესი ტექნოლოგიების, ხელსაწყომასალების გამოყენების საბაზისო უნარები, რაც, ერთი მხრივ, საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს დასაქმდეს, ხოლო მეორე მხრივ, განაგრძოს სწავლა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.</p> <p>კურსდამთავრებული დარგობრივ სფეროში არსებით უნარებთან ერთად იძენს ტრანსფერულ უნარებს, დაგროვილი ცოდნის რეალიზაციას ახდენს საკუთარი იდეების განვითარებისას კონკრეტული დამოუკიდებელი, შემოქმედებითი პროექტის ფარგლებში, იცავს რა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.</p> <p>მოცემულ ეტაპზე საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს არსებითი ცვლილება არ განუცდია, თუმცა წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის წინამორბედი საბაკალავრო პროგრამის მოდიფიკაციის ნიადაგზე დაკონკრეტდა დარგობრივი მიზნებიც, რაც პროგრამით დაინტერესებულ პირთათვის კიდევ უფრო ნათელს ხდის საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციას.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა; • თვითშეფასების ანგარიში • კომპეტენციათა რუკა და მიზნების რუკა; • სამიზნე ნიშნულები; • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია

<ul style="list-style-type: none"> • ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მიზნები.
რეკომენდაციები:
-
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
-
შეფასება <ul style="list-style-type: none"> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესრულების შემდეგ ენიჭება კვალიფიკაცია ხელოვნების ბაკალავრი მხატვრულ კერამიკაში (0214.1.2), რომელიც სწავლის სფეროების მოქმედ კლასიფიკატორში მოქცეულია გამოყენებითი ხელოვნების ფარგლებში. პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს ისეთი კონკურენტუნარიანი სპეციალიტი, რომელიც წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად და მოძიებული ვიზუალური და თეორიული მასალის კვლევისა და ანალიზის შედეგების გამოყენებით შეძლებს შექმნას საავტორო ნამუშევარი მხატვრულ კერამიკაში სათანადო ტექნოლოგიებისა და ტექნიკების, მასალებისა და ხელსაწყოების გამოყენებით და წვლილი შეიტანოს თანამედროვე საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკური განვითარების პროცესში (დიზაინის საფუძვლები, საბაზო უნარები – ხატვის და ფერწერის კანონების, სახატავი და ფერწერული მასალებით მუშაობის ტექნოლოგიების და პრინციპები, საავტორო ნამუშევრის შექმნა მხატვრულ კერამიკაში საჯარო სივრცეებისათვის, რელევანტური ვიზუალური და თეორიული მასალის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, ცოდნა კერამიკული მასალების შესაძლებლობებისა და მასთან დაკავშირებული ტექნოლოგიური პროცესების შესახებ, ნამუშევარში საკუთარი სტილის და შემოქმედებითი ხედვის გამოვლენა, შემოქმედებითი იდეების განვითარებისა და განხორციელების პროცესში პლაგიატის თავიდან აცილება, შემოქმედებითი იდეების ეფექტური ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ეფექტური მუშაობა ინდივიდუალურად/ჯგუფურად, საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება).</p> <p>გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კონკრეტული ცვლილებების საფუძველზე დაკონკრეტდა და მოდიფიცირდა, ცვლილებებმა მოითხოვა ცალკეული კორექტირება სწავლის შედეგებში. სწავლის შედეგების ცვლილებები ასევე გამოწვეული იყო აკრედიტაციის პროცესში მიღებული არაერთი შეცვლილი რეგულაციით. კერძოდ, სწავლის შედეგების აღწერა და განმარტება განხორციელდა სამი კომპეტენციის შესაბამისად. სახელდობრ, კურსდამთავრებული იღებს ფართო, საბაზო ცოდნას დარგში, ეუფლება ახალ ტექნოლოგიებს, დარგში მოქმედ უახლეს კანონებსა და რაც მთავარია, პროგრამის ფარგლებშივე პრაქტიკის ობიექტების ჩართულობით ახდენს საკუთარი დარგობრივი ცოდნისა და აუდიტორიაში შემენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევების დახვეწას, რაც ასევე შესაძლოა გახდეს მისი საბაკალავრო ნაშრომის, თუ ცალკეული პროექტის ინსპირაციის წყარო. შესაბამისად, ის ხვეწავს შემოქმედებით ხედვას. ის არამარტო ახორციელებს შემოქმედებით პროექტებს, არამედ წარმოადგენს მათ ფართო აუდიტორიის წინაშე თანამედროვე</p>

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.
 სწავლისა და შემოქმედებით პროცესში ავლენს სწავლის პროცესისა და დროსი მართვის უნარებს, პატივს სცემს სხვის მოსაზრებას და შემოქმედებით პროცესში თავს არიდებს პლაგიატს.
 საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მიზანმიმართულად არის ასახული სწავლის შედეგებში, რათა სტუდენტი იმთავითვე ორიენტირებული იყოს სასწავლო პროცესის საბოლოო შედეგზე.
 ამრიგად, ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პროგრამის სწავლის შედეგები დაკორექტირდა, ისინი მეტად გახდა ფოკუსირებული ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებულ კომპეტენციებზე. შესაბამისად, უფრო მკაფიოდაა ორიენტირებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერთან. მათში აისახა აღმწერით განსაზღვრული ცოდნა/გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ასპექტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- კომპეტენციათა და მიზნების რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p> <p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პირობების შესახებ მოცემულია კურიკულუმის შესაბამის რუბრიკაში, კერძოდ, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. წინაპირობებში მოცემული დოკუმენტაციის მიხედვით არ იკითხება, შესაძლებელია თუ არა საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელდეს გარემობილობა, ან დაიშვეს უცხო ქვეყნის მოქალაქე, რაც კანონმდებლობით დარეგულირებულია.</p> <p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი. <p>რეკომენდაციები:</p> <p>-</p> <p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების რუბრიკაში აღიწეროს პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაშვებისა და გარე მობილობის განხორციელების შესაძლებლობები; <p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <p>-</p> <p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <p>-</p> <p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსიდან და კონცეფციიდან გამომდინარე მისი მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა აგებულია შემდეგი სქემის მიხედვით:</p> <p>თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესავალი თანამედროვე აზოვნებაში I, II - 12 კრედიტი

- აკადემიური მუშაობის ტექნიკები - 6 კრედიტი
- სტატისტიკა - 6 კრედიტი
- ინგლისური ენის პრაქტიკული კურსები - 24 კრედიტი
- შესავალი კურსები კოდით INTRO - 12 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:

- საბაზისო სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი
- ხელოვნებათმცოდნეობის სავალდებულო-არჩევითი კურსები - 12 კრედიტი
- კერამიკის ხელოვნების სავალდებულო კურსები - 30 კრედიტი
- არჩევითი კურსები - 24 კრედიტი

დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი

მოცემული სტრუქტურის თანახმად სტუდენტი ვალდებულია საბაკალავრო სწავლების პირველივე წელს გაიაროს საერთო სავალდებულო კურსები „პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 1“ და „პირველი ნაბიჯები ხატვასა და ფერწერაში 2“. თავისუფალი კომპონენტის გავლა სტუდენტს საშუალებას აძლევს განივითაროს ტრანსფერული უნარები.

საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად სასწავლო ბლოკში წარმოდგენილია უცხოური ენის და კერძოდ ინგლისურის სასწავლო კურსი 24 კრედიტის ოდენობით, რაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა იმ სტუდენტთათვის, ვინც შემდგომში გეგმავს მოისმინოს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები კურიკულუმიდან/ან გააგრძელოს სწავლა და კვლევა უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე.

ძირითადი სწავლის სფერო 120 კრედიტის მოცულობისაა, რომელთაგან 54 კრედიტი საბაზისო სავალდებულო კურსებს გულისხმობს, ამას ერთვის კერამიკის ხელოვნების სავალდებულო კურსები 30 კრედიტისა და მოცულობით, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ხელოვნებათმცოდნეობის სავალდებულო არჩევითი კურსები (12 კრედიტი, 4 ექვსკრედიტიანი არჩევითი კურსიდან), რომელთა დანიშნულებაა სწორედ საბაზისო ცოდნის საფუძვლის შექმნა. ასევე მნიშვნელოვანია და შთამბეჭდავი არჩევითი კურსების რაოდენობა და შინაარსი (18 სასწავლო კურსი, რომელთაგან სტუდენტი ირჩევს სრულიად 24 კრედიტის მოცულობის სასწავლო კურსების გარკვეულ ჯგუფს. ფაქტობრივად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულიად ფოკუსირებულია სტუდენტზე, რომელიც დამოუკიდებლად ირჩევს გამომდინარე საკუთარი ინტერესებიდან, რაც სტუდენტს უვითარებს ავტონომიური გადაწყვეტილების უნარს და აღრმავებს მისი აკადემიურ თუ კვლევით ინტერესებს. სავალდებულო კომპონენტია ასევე საბაკალავრო ნაშრომის შესრულება, რომლის კონცეფცია, წარმოადგენს დეტალურ, სტუდენტზე ორიენტირებულ და დარგის კვლევების საფუძვლის შექმნის რეალურ სახელმძღვანელო აკადემიურ დოკუმენტს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტს შესაძლებლობა აქვს შექმნილი დარგობრივი ცოდნა გაიმყაროს ჩამოყალიბებული პრაქტიკის ფარგლებში. პროგრამის სტრუქტურის მიხედვით, გათვალისწინებულია 240 კრედიტი (1 კრედიტი - 25 საათი): · ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი, თავისუფალი კომპონენტი, ზოგადი მოდული - 60 კრედიტი · დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საბაკალავრო ნაშრომის კონცეფცია.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

-

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი ➤ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➤ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სასწავლო კურსი შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს და გააჩნია ადეკვატური რაოდენობის კრედიტების და საათების განაწილების სისტემა. ძირითადი განგრძობითი კურსის დანაწილი კურსების შინაარსი და მეთოდოლოგია ლოგიკურადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, გამომდინარეობს გავლილი ეტაპის შედეგებიდან და მის გაგრძელებას წარმოადგენს. საბაზისო სავალდებულო კურსები უზრუნველყოფს სტუდენტისთვის საჭირო უნარების გამომუშავებას: ესაა საბაზო უნარები ხატვის და ფერწერის კანონების, სახატავი და ფერწერული მასალებით მუშაობის ტექნოლოგიების და პრინციპების შესახებ, ასევე ცხოველების, ფრინველების და ადამიანის ძვლოვანი და კუნთოვანი სისტემების გავლენის შესახებ პლასტიკურობაზე, მოძრაობასა და გარეგნულ ფორმაზე. ხელოვნებათმცოდნეობის სავალდებულო არჩევითი კურსები შედგენილია ხელოვნების ისტორიის დისციპლინის მიღებული მეთოდოლოგიის მიხედვით, რაც გულისხმობს სხვადასხვა ეპოქების ხელოვნების ისტორიის შესწავლას ქრონოლოგიური მეთოდის პრიორიტეტულად გამოყენების საშუალებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები <ul style="list-style-type: none"> • საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმი; • სასწავლო კურსების სილაბუსები; • თვითშეფასების ანგარიში.
რეკომენდაციები: -
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის -
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): -
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) -
შეფასება <ul style="list-style-type: none"> o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
